



გორის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ20. 20230863

თარიღი:27/03/2023

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის რეორგანიზაციის დაგეგმვისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის, მათ შორის შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების გადაანაწილების მიზნით, „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 მარტის №ბ20.202307964 ბრძანებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში დაიწყო რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულში - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობების, თანაშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციის გაზრდის მიზნით, შეიქმნას სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილება, რომლის ფუნქციები იქნება: ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით არსებულ სამკურნალო დაწესებულებებთან თანაშრომლობა და საქმიანობის კოორდინაცია; ბ) სამზრუნველო დაწესებულებების ქსელის განვითარება და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების გატარება; გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრისის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ოჯახების აღწერა და საერთო საინფორმაციო ბაზის შექმნა; დ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება; ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის დაგეგმვა იწყება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. დაგეგმვის ეტაპზე საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შეიმუშაოს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 მარტის №ბ20.202307964 ბრძანებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში დაწყებული რეორგანიზაციის ფარგლებში, საჭიროა განხორციელდეს რეორგანიზაციის დაგეგმვა და განისაზღვროს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 - მე-10 მუხლების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში რეორგანიზაციის მიზნით განისაზღვროს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, შემდეგი სახით:

ა) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპზე დაიწყო 2023 წლის 27 მარტიდან და გაგრძელდეს ერთი თვის განმავლობაში - 2023 წლის 27 აპრილის ჩათვლით.

ბ) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპზე შემუშავებული იქნას შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცვლილებების პროექტები და რეორგანიზაციის შედეგად შესაქმნელი ორგანიზაციული სტრუქტურისა და სამტატო ნუსხის პროექტი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხვა დადგენილებების პროექტები.

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტები, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, წარდგენილ იქნას გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად და 2023 წლის 27 აპრილამდე გადაწყვეტილების მისაღებად.

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებში, ამავე სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 27 აპრილი, შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი აქტების საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, რეორგანიზაცია დასრულდეს 2023 წლის 27 აპრილს.

2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას დაევალოს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გორის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (www.gori.gov.ge) გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

ვლადიმერ ხინჩგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

